

**საქართველოს სანავირო ზონის
ინფორმაციული პარტნიის სპრავუბიუ**

საქართველოს მთავრობის განკარგულება №——

“——“ “—————“, 2010

საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის შესახებ

საქართველოს სანაპირო ზონის მდგრადი განვითარების, მისი ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, ეკონომიკური განვითარების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და შავი ზღვის გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით 2007-2009 წლებში ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების საერთო კოორდინაციით შემუშავებულ იქნა საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის თანდართული სტრატეგია.
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა უზრუნველყონ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა და განკარგულების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში დასამტკიცებლად წარმოადგინონ „საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“, რომელშიც, სტრატეგიული მიზნების მიღწევის ეტაპებთან, ინდიკატორებთან და სხვა პროგრამულ ასპექტებთან ერთად, სათანადო საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების სახით ასახული იქნება ფინანსური რესურსებით „საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის“ განხორციელების უზრუნველყოფის საკითხები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური

საქართველოს სანავირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია

შინაარსი

თავი I. შესავალი ნაწილი	1
თავი II. სანავირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესი საქართველოში	4
2.1. ინიცირება	5
2.2. დაგეგმვა	6
2.3. განხორციელება	6
2.4. მონიტორინგი და შეფასება	6
თავი III. სანავიროსთან დაკავშირებული გუნდები და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების შეფასება	7
3.1. სანაპიროსთან დაკავშირებული ბუნებრივი ფაქტორები	7
3.2. სანაპიროსთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	10
თავი IV. პერსპექტიული ხედვა (მიზანი)	15
თავი V. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები	16
5.1. სტრატეგიის მიზნები	16
5.2. ბუნებრივ ფაქტორებთან დაკავშირებული სტრატეგიული ამოცანები	17
5.3. სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული სტრატეგიული ამოცანები	18
თავი VI. სანავირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები	24
6.1. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები	24
6.2. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები დაგეგმვისა და მართვის სფეროში	25
6.3. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები სანაპიროს დაცვისა და შენარჩუნების (კონსერვაციის) სფეროში	26
6.4. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები მიწის სავარგულებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების სფეროში	27
თავი VII. სანავირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული განახლება	28
დანართი 1. სანავირო ზონის იდენტიფიკაცია	29
დანართი 2. სანავირო ზონის საზღვრები	31
დანართი 3. სანავირო ზონის საილუსტრაციო რუკა	32

მონონებულია საქართველოს

მთავრობის 2010 წლის

“ “ “ _____ “ № _____

განკარგულებით

საქართველოს სანაპირო ზონის ინფრასტრუქტურული მართვის სტრატეგია



თავი I. შესავალი ნაწილი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სიგრძე 315 კილომეტრს შეადგენს. სანაპიროს სახმელეთო ტერიტორია მოიცავს ორი ავტონომიური რესპუბლიკის, თორმეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულისა და სამი მთავარი საპორტო ქალაქის (ბათუმის, სოხუმისა და ფოთისა) ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ მიწებს.

საქართველოს სანაპირო ზონის უმეტესი ნაწილი განიცდის მძლავრ ანთროპოგენურ ზემოქმედებას, რის გამოც ადგილი აქვს ზღვის წყლის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებას, ჭარბტენიანი და სანაპიროს სხვა ჰაბიტატების დაზიანებას და რღვევას, თევზის მარაგების კლებასა და ტყის საფარის შემცირებას. ამ ზონაში მყარი და თხევადი ნარჩენების მართვა სუსტად ხორციელდება, რის გამომწვევ მიზეზსაც დასახლებული ტერიტორიების დაგეგმვაში არსებული ხარვეზები და ამავე სფეროში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტების არარსებობა წარმოადგენს.

სანაპირო ზონაში შემოსავლების დონის საშუალო მაჩვენებელი დაბალია. ეს გარემოება არა მარტო ზრდის სანაპიროს ბუნებრივ რესურსებზე დატვირთვას (მაგალითად, სანავისა და საკვების მოსაპოვებლად), არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს საჭირო ინვესტირების (მაგალითად, ინფრასტრუქტურის, ნაპირდაცვის და მენარმეობის განვითარების სფეროებში) განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური სახსრების გენერირების შესაძლებლობას. სანაპირო ზონის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ ბუნებრივი გარემოს მახასიათებლებით და ფაქტორებით — იგი მნიშვნელოვანია მთლიანად ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის თვალსაზრისითაც, როგორც ევროპასთან დამაკავშირებელი გეოგრაფიული სივრცე. საქართველოს სანაპირო ზონას გააჩნია პოტენციური შესარელოს განსაკუთრებული როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში — ისეთი დარგების სწრაფი ზრდის ხარჯზე, როგორცაა, მაგალითად ტურიზმი.

საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნული გეგმისა და სტრატეგიის დოკუმენტში (მარტი, 2008) გაცხადებულია, რომ ბუნებრივ-სანახაობით

ტურიზმს სასოფლო რეგიონებში დიდი პოტენციალი გააჩნია როგორც დასაქმების და შემოსავლების გენერირების წყაროს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, და რომ ბუნებრივი გარემოს დაცვა იმავდროულად ნიშნავს დასაქმებისა და შემოსავლების გენერირების საშუალებათა დაცვას. ამასთან ერთად, დოკუმენტი უთითებს, რომ „გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე საინტერესო ტურისტული ობიექტი შეიძლება ადვილად ემსხვერპლოს საკუთარ წარმატებას — ობიექტის მიმზიდველობა და ესთეტიკური სახე გაუარესდება, ხოლო პროდუქტის ღირებულება და ხარისხი მკვეთრად შემცირდება“. აღნიშნული დოკუმენტი, ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შავი ზღვის სანაპიროს პოტენციალის ათვისების არჩეული სწრაფი ტემპი მკვეთრად აღემატება არსებული ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემების ქსელების განვითარების თვალსაზრისით.

ევროკავშირი მხარს უჭერს სანაპირო ზონის ინტეგრირებულ მართვას, როგორც ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც სანაპიროზე მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია. ევროპის საბჭოსა და პარლამენტის მიერ 2002 წელს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სფეროში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ინიციატივების შეფასებამ აჩვენა, რომ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა ხელს უწყობს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ინტერესების ჰარმონიულ შეჯერებას და ასევე, წვლილი შეაქვს სანაპიროს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ევროკავშირის მიერ ინიცირებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით მომზადებული ევროკავშირის საქართველოს სამოქმედო გეგმა¹ ასევე შეიცავს მითითებას საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეროვნული პროგრამის განხორციელების საჭიროების თაობაზე.

საქართველო წარმოადგენს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციისა (რიო-დე-ჟანეირო, 1992) და „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ კონვენციის (რამსარი, 1973) მონაწილე მხარეს. ორივე კონვენცია შეიცავს მითითებებს სანაპირო და საზღვაო ტერიტორიებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში ინტეგრირებული ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე. ამასთან, „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ კონვენცია საზოგადოდ ემხრობა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მიდგომების გამოყენებას, მაშინ, როდესაც „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მიხედვით, ამავე სფეროში, გამოყენებული უნდა იქნეს საზღვაო და სანაპირო ტერიტორიების ინტეგრირებული მართვის კონცეფცია, რომელიც ანალოგიურია სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის კონცეფციისა, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით სანაპიროს განიხილავს უფრო ფართო გაგებით და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების (კონსერვაციის) ასპექტებზე.

საქართველომ ხელი მოაწერა შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციას (ბუქარესტი, 1992) და შავი ზღვის გარემოს დაცვის მინისტრთა დეკლარაციას (ოდეसा, 1993), რომლითაც აღიარებულია ეროვნულ დონეზე შავი ზღვის ქვეყნების მიერ სანაპირო ზონის მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერის აუცილებლობა, რაც მოიცავს ქმედებებს საკანონმდებლო და ეკონომიკური მიმართულებებითაც, რათა უზრუნველყოფილი

¹ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ევროკავშირი-საქართველო) — http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf

იქნეს მდგრადი განვითარების მიღწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ სულისკვეთებით.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სფეროში საერთაშორისო/რეგიონალური თანამშრომლობის შესაძლებლობათა კონტექსტში აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდამდე, რუმინეთი ერთადერთი იყო შავი ზღვის ქვეყნებს შორის, რომელსაც მიღებული ჰქონდა საკანონმდებლო აქტი „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ“, შემუშავებული ჰქონდა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის პროექტი და შექმნილი ჰყავდა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეროვნული კომისია, რომელიც კოორდინაციას უწევდა სანაპიროს დაგეგმვისა და მართვის სფეროს. ბულგარეთმა 2008 წლის იანვარში ასევე მიიღო სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი. უკრაინაში ამჟამად მიმდინარეობს ამგვარი აქტის შემუშავების პროცესი. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონში უკვე იქნა განხორციელებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის რამდენიმე საცდელი პროექტი.

საქართველოში შემუშავებული იქნა პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი დოკუმენტები ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორებიცაა ტრანსპორტი, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და სხვა. საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 13 აპრილს მიიღო №15 დადგენილება „საქართველოს შავი ზღვისპირეთში მინათსარგებლობისა და სამშენებლო საქმიანობების მონესრიგების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ“², ამას მოჰყვა „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ“ საკანონმდებლო აქტის პროექტის³ შემუშავება. თითოეული ეს ინიციატივა ხელს უწყობს საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის დანერგვის საქმეს. თუმცა, არ არსებობს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც თავს მოუყრიდა და ერთიან სისტემაში მოაქცევდა სანაპირო ზონასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის წინამდებარე სტრატეგიის მიზნებისათვის იდენტიფიცირებული საქართველოს სანაპირო ზონის საზღვრები (სანაპირო ზონის შესაძლო ტერიტორიული გაადგილებისა და ფართობის აღქმის გაადვილების მიზნით) პრაქტიკულად ემთხვევა არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და/ან მათი შემადგენელი ნაწილების საზღვრებს. ამასთან, საზღვრების დადგენისას მხედველობაში იქნა მიღებული ზღვის ბუნებრივი გარემოს უშუალო ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების (მაგალითად, სანაპირო დიუნები და ჭაობები) და აგრეთვე, სანაპირო ტერიტორიის სხვა მნიშვნელოვანი ბუნებრივი ობიექტების ადგილმდებარეობა (იხ. დანართი 3 — სანაპირო ზონის საილუსტრაციო რუკა).

² სანაპიროს მართვის სფეროსთან მიმართებაში ნორმატიული აქტების ფართო ჩამონათვალა მხედველობაში მისაღები. მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 13 აპრილის №15 დადგენილება, საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურდიული პირების მფლობელობაში (გამგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების ნებისა და საკუთრების უფლების მონაბობის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

³ იხ. აღნიშნული კანონის პროექტი <http://www.ICZM.ge>-ზე.



თავი II. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესი საქართველოში

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს სანაპირო ზონის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს საჯარო და კერძო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის კონტექსტში ტერმინი „ინტეგრირებული“ ნიშნავს სანაპიროს კონკრეტული ტერიტორიის სახმელეთო და საზღვაო კომპონენტების ურთიერთკავშირის დროსა და სივრცეში (ე.წ. „სივრცულ ინტეგრაციას“)⁴. ინტეგრირების მისაღწევად ასევე, საჭიროა დაინტერესებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა გადანყვეტილებათა მიღების პროცესში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ინტეგრაციას სხვადასხვა სფეროებისა და დარგების დონეზე (ე.წ. „ჰორიზონტალურ ინტეგრაციას“) და აგრეთვე, ადმინისტრირების სხვადასხვა დონეზე მიმდინარე პროცესების ურთიერთდაკავშირებას (ე.წ. „ვერტიკალურ ინტეგრაციას“).


სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა, გრძელვადიან ასპექტში, ახდენს გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და რეკრეაციული ინტერესების ოპტიმალურ დაბალანსებას და ამ მიზნით, სანაპიროს ბუნებრივი პროცესების დინამიკის მხედველობაში მიღების საფუძველზე, იყენებს ტექნიკურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მეთოდებსა და საშუალებებს. ამგვარი მიდგომა, სანაპირო ტერიტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე საერთო საზოგადოებრივი ინტერესების და მიზნების შესაფასებლად, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას, მონაწილეობასა და თანამშრომლობას, აგრეთვე დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

⁴ იხ. ევროგაერთიანების კომისიის შეტყობინება (№2000/547) ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის პარლამენტის მიმართ „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ევროპული სტრატეგიის თაობაზე“.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა წარმოადგენს დინამიურ და კომპლექსურ (მრავალდისციპლინარულ) პროცესს, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვების სრულ ციკლს, დაგეგმვის (ამ ცნების ფართო გაგებით) და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. აღნიშნული ეტაპების საილუსტრაციოდ ქვემოთ განხილულია სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესის მიმდინარეობა საქართველოს მაგალითზე.

ჩანართი 1. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესის (როგორც იტერაქციული და ციკლური პროცესის) სქემა

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის განხორციელების ეტაპები განხილული უნდა იყოს როგორც იტერაქციული (განმეორებადი/მრავალჯერადი) და ციკლური პროცესი (ინიცირება/ინფორმაციის შეკრება; დაგეგმვა/გადაწყვეტილების მიღება; დანერგვა/მართვა; მონიტორინგი/შეფასება). როგორც ქვემოთ გრაფიკულადაა გამოსახული, მიდგომა უნდა იყოს იტერაქციული, რადგანაც ყოველ შემდგომ ეტაპზე გამოვლინდება განვლილი ეტაპის შესრულებისას დაშვებული გარკვეული ხარვეზები. პროცესის ციკლურობა კი მდგომარეობს იმაში, რომ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის დანერგვისას ადგილი აქვს სანაპიროს სისტემების უკეთ გაცნობიერებას და დანერგვის პროცესში განვითარების ახალ შესაძლებლობათა განსაზღვრას და ახალი საფრთხეების გამოვლენას. მსგავსი მიდგომა უნდა ახასიათებდეს პროცესს მთლიანობაში, დანერგვის ყველა ეტაპზე. დანერგვის ახალი ციკლი შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც ახალი „პროექტი“ არსებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესის ფარგლებში, ან თუნდაც როგორც განახლებული „პოლიტიკა“, თუკი არსებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროგრამის მასშტაბი და ხასიათი მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს.



2.1. ინიცირება

საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება ჯერ კიდევ 1993 წელს იქნა დაწყებული — გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეგიდით მოქმედ შავი ზღვის გარემოსდაცვითი რეგიონალური პროგრამის ფარგლებში (Black Sea Environmental Programme – BSEP). ამავე პროგრამის ფარგლებში, საქართველო 1995 წლიდან შეუდგა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროგრამის შემუშავებას. მოგვიანებით, რეგიონალური შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის (Black Sea Strategic Action Plan – BS-SAP, 1996) შესრულების მიზნით ქვეყანამ ვალდებულია აიღოს შემუშავებინა საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 ოქტომბრის №608 ბრძანებულებით იქნა მიღებული. რეგიონალურ დონეზე შავი ზღვის გარემოს დაცვის განახლებულ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას 2009 წელს მოენერა ხელი.

2.2. დაგეგმვა

ყოველივე ზემოთ თქმულის გაგრძელებას წარმოადგენდა „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი“, რომლის განხორციელებაც 1999 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სანაპიროს ინტეგრირებული მართვის სისტემის განვითარებისათვის საფუძვლების შექმნა — სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მონაცემთა ბაზის, სივრცული გეგმების და სანაპირო ზონის საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადების გზით. აღნიშნული პროცესის ხელშეწყობა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 ოქტომბრის №608 ბრძანებულებით ჩამოყალიბებულ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სახელმწიფო საკონსულტაციო კომისიას დაევალა, რომელიც 2006 წლამდე განაგრძობდა ფუნქციონირებას. პროექტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, ისეთი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას, როგორებიცაა ზღვაში ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმის შემუშავება, ნაპირების ეროზიის და მუნიციპალური პრობლემების კვლევა სანაპიროს ქალაქებში, აგრეთვე ჭარბტენიანი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება კოლხეთში.

2.3. განხორციელება

მიმდინარე ეტაპზე წარმოებს „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში მომზადებული კოლხეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების განხორციელების/დანერგვის სამუშაოები.

2.4. მონიტორინგი და შეფასება

„საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში მოქმედმა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სამუშაო ჯგუფმა ფუნქციონირება 2007 წელს განაახლა — ამჯერად, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის („თანამშრომლობა შავი ზღვის გარემოს დაცვისათვის“) ეგიდით, რაც სანაპიროს ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას ისახავდა მიზნად. სამუშაო ჯგუფმა განახორციელა უკანასკნელ წლებში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესის შეფასება და წამოიწყო სანაპიროს ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის კოორდინაციის ახალი ციკლი.



თავი III. სანაპიროსთან დაკავშირებული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების შეფასება

სანაპიროს, როგორც სისტემის, ანალიზი, მოითხოვს გაანალიზებული იქნეს როგორც სანაპიროსთან დაკავშირებული ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ფაქტორთა ეს ორი ჯგუფი, თავის მხრივ, ორ (ბუნებრივსა და ანთროპოგენურ) ურთიერთდამოკიდებულ ქვესისტემას ქმნის. ქვემოთ მოყვანილ 3.1 და 3.2 ქვეთავებში განხილულია სანაპიროსთან დაკავშირებული პრიორიტეტული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

3.1. სანაპიროსთან დაკავშირებული ბუნებრივი ფაქტორები

3.1.1. ნაპირების ეროზიისა და წყალდიდობის (წყლით დატბორვის) რისკი

საქართველოს სანაპიროს ფორმირება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში მიმდინარე უწყვეტი მორფოდინამიკური პროცესების, მდინარეების ჩამონატანების, ზღვის ტალღებისა და დინებების ურთიერთქმედებით გამოწვეული სანაპიროს წყალქვეშა და ხმელეთის ზედაპირის რელიეფწარმოქმნელი პროცესების ფონზე მიმდინარეობდა. თანამედროვე განვითარების პირობებში ზღვასთან და წყალდიდობებთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენები ხშირად უქმნის საფრთხეს სანაპიროს მოსახლეობას და მის საცხოვრებელ გარემოს, იწვევენ ნაპირის ეროზიასა და არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანებას, როგორც ამას, მაგალითად, 2008 წლის სექტემბერში ჰქონდა ადგილი საქართველოს სანაპიროზე.

ზემოაღნიშნული მოვლენების პროგნოზირებისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული მზარდი

ზეგავლენა და მასთან დაკავშირებული ცვლილებები ზღვის დონესა და ნალექების რაოდენობაში, აგრეთვე ზღვაზე ძლიერი შტორმების წარმოქმნის ალბათობის ზრდის ფაქტორი.

დროთა განმავლობაში საქართველოს სანაპირო ზოლის გასწვრივ მნიშვნელოვანი ეროზირებული რამდენიმე უბანი წარმოიქმნა. ეროზირებული უბნების დიდი ნაწილი, რომელიც უკვე სახეზეა ან ჩამოყალიბების პროცესშია, გამოწვეულია ადამიანის საქმიანობის და ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით. ასეთ ცვლილებებს მიეკუთვნება ქალაქ ფოთთან მდინარე რიონის დინების მიმართულების შეცვლა, ქალაქ ბათუმში პორტის ობიექტების მშენებლობა, რკინიგზის ხაზის გატარება ნაპირთან ახლოს და მდინარის კალაპოტიდან სამშენებლო ინერტული მასალების მოპოვება. აღნიშნულ ცვლილებათა შედეგების გამოსწორებას საკმაო ძალისხმევა დასჭირდა წარსულ პერიოდში, მათ შორის ნაპირდაცვის ფართომასშტაბიანი ღონისძიებების და პლაჟის აღდგენის პროექტების განხორციელებით.

უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს სანაპიროს ეროზიის პრობლემა ქალაქების ფოთისა და ბათუმის მიმდებარე სანაპირო ზოლში. გაანალიზებული იქნა აგრეთვე, მდინარეების რიონისა და ჭოროხის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანისა და შესაბამისად, მდინარეების გეომორფოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. ჩატარებული იქნა ნაპირებზე მიმდინარე პროცესების მოდელირების სამუშაოები — დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების განხორციელებადობის შეფასების კონტექსტში (მაგალითად, ნატანების იანტიკლუბისა და ფოთის პორტის გაფართოების პროექტებისათვის).

სანაპიროს ეროზიისა და წყალდიდობის რისკთან დაკავშირებული საკითხები უშუალოდ ეხება სანაპიროს დაბლობ ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობას და ამავე ადგილებში განხორციელებულ სამეურნეო საქმიანობას. ეროზიისა და წყალდიდობის რისკი კიდევ უფრო იზრდება კლიმატის ცვლილებისა და ზღვის დონის აწევის ზეგავლენით. აგეგმვითი სამუშაოები მიმდინარეობს ზღვის ნაპირზე გარკვეული პერიოდულობითა და მოცულობებით. არსებობს ისტორიული მონაცემები წყალდიდობების შესახებ (მაგალითად, მონაცემები გააჩნია საქნაპირდაცვის ინსტიტუტს; მონაცემების მიღება შეიძლება აგრეთვე დისტანციური ზონდირების მეთოდების გამოყენებით), მაგრამ არ მიმდინარეობს აგეგმვითი სამუშაოები და არ მუშავდება წყალდიდობების დროს წყლით დატბორვას დაქვემდებარებული მაღალი რისკის მქონე უბნების რუკები. წყალდიდობები აზიანებენ ტერიტორიებს და ქონებას, ექმნება საფრთხე ადამიანთა სიცოცხლეს, ნადგურდება ნათესები და საქონელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის რეგულარული დატბორვა აუცილებელიცაა, რათა შენარჩუნებული იყოს არსებული ჰაბიტატები და ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სახეობები. სანაპიროს საინჟინრო დაცვა და აღდგენა რჩება საქნაპირდაცვის ინსტიტუტის უფლებამოსილებაში (რომელიც ამჟამად შედის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში). ამასთან, საჭიროა, რომ საინჟინრო დაცვის საკითხები განხილული იქნეს ღრმა ანალიზისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე.

სანაპირო ზონის ინტეგრირებულ მართვას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება წყალდიდობების რისკის პრევენციის საქმეში, რაც გამოიხატება აუთვისებელ ტერიტორიებზე წყლით დატბორვის საშიშროების ქვეშ მყოფი ადგილების იდენტიფიცირებისა და განაშენიანებისთვის დაშვებული ზონების ან განაშენიანებისთვის აკრძალული — ნაპირდაცვის ზონების დანესებაში (მათ შორის კლიმატის ცვლილების შესაძლო ზეგავლენის შედეგების გათვალისწინებით).

3.1.2. ბიომრავალფეროვნება

სანაპირო ზონის საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს ჭარბტენიან ტერიტორიებს, სადაც წარმოდგენილია ტორფიანი ჭაობები, ბალახიანი ჭაობები და ჭანჭრობები. ჭარბტენიანი ტერიტორიები ეკოლოგიურად მნიშვნელოვან ჰაბიტატს წარმოადგენს, განსაკუთრებით ფრინველთა გადამფრენი სახეობებისათვის. ასევე, მნიშვნელოვან ჰაბიტატებს განეკუთვნება სანაპირო დიუნები, კლდოვანი ნაპირები და ფიჭვის კორომები. ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ჰაბიტატები განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფება და შედის კოლხეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. მაგრამ, ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, კვლავაც რჩება, ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები, რომლებზედაც არ ვრცელდება დაცული ტერიტორიების დაცვის რეჟიმი.

ადამიანის საქმიანობამ ბუნებრივი ეკოსისტემების შეუქცევადი ცვლილებები გამოიწვია; საგრძობლად შემცირდა ტყეებისა და მცენარეულობის გავრცელების არეალები და შესაბამისად გაიზარდა მეორადი მდელოებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები. კოლხეთის დაბლობის სამ მეოთხედზე მეტი და მიმდებარე მთისწინეთი მთლიანად სახეცვლილია, რაც გამოწვეულია სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნებისათვის ამ ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშრობით. ბიომრავალფეროვნების კარგვის მთავარი მიზეზები და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება გამოწვეულია ჰიდრომელიორაციული ღონისძიებების განხორციელებით, ტყის საფარის განადგურებით, ტორფის მოპოვებით, გადაჭარბებული თევზჭერით, მყარი და თხევადი ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურებით, ურბანული ტერიტორიების გაფართოებითა და უსისტემო განაშენიანებით. დღეისათვის, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, ერთ-ერთ გადაუდებელ პრობლემას წარმოადგენს გადაშენების პირას მყოფი მიგრირებადი სახეობების (განსაკუთრებით ზუთხის) უკანონო თევზჭერა მდინარეების შესართავებში.

ჩანართი 2. სანაპიროსა და მისი პუნჯის შენარჩუნება — ღირსებისა და კულტურის შენარჩუნების საკითხია

გურიის სანაპიროზე მდებარე წყალწმინდის თემის ტერიტორიაზე, ზოგიერთ მონაკვეთზე, ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნებრივი გარემოს ელემენტები. მუხნარ-მურყნარი ტყეები, რომლებიც დომინირებდნენ საქართველოს ამ რეგიონის სანაპირო ტერიტორიებზე, დღეს თითქმის გაქრობის პირას არის მისული და სულ რამდენიმე ფრაგმენტიღაა შემორჩენილი სოფელ წყალწმინდის მიდამოებში. ალტერნატივის არარსებობის გამო და, შესაძლოა, ბუნებრივი სისტემებისა და მათ შესახებ ცოდნის ნაკლებობით, ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია ტყე საშუაშე მასალად გამოიყენოს. თუკი მოსახლეობა კარგად იქნება ინფორმირებული ტყეების ნამდვილი ფასეულობის შესახებ და იმავდროულად მათთვის ხელმისაწვდომი გახდება ენერჯის სხვა ალტერნატიული წყაროები, ადგილობრივი მოსახლეობის ენთუზიაზმი არ დააყენებს და ისინი დიდ ინტერესს გამოხატავენ არა მარტო ხსენებული ტყეების შემორჩენილი ნაშთების დაცვის მიმართ, არამედ გამოიჩინენ ინიციატივას აღადგინონ დარღვეული ჰაბიტატები. უნდა აღინიშნოს, რომ წყალწმინდის პლაჟთან ახლოს, ჯერ კიდევ შემორჩენილია სანაპიროსთვის დამახასიათებელი მცენარეულობით გამორჩეული და წარსულში სანაპიროზე ფართოდ გავრცელებული ტიპის წყალსატევი, რომელიც გადაურჩა ათვისებას მის გარშემო მიმდინარე განაშენიანების პროცესის მიუხედავად. ეს წყალსატევი მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს, როგორც

დასასვენებელი ადგილი გაზაფხულსა და შემოდგომაზე გადამფრენი ფრინველებისთვის. სანაპიროდან ხმელეთის სიღრმეში მდებარე ეს მთაგორიანი და ტყეში ჩაფლული სოფელი, სადაც ბუნებას თავისი მიმზიდველობა შემორჩენია, კიდევ ერთი მაგალითია ბუნებრივი ღირებულებისა, რომლის შენარჩუნება უპრიანია არა მარტო ბუნებრივი გარემოს სილამაზის გამო, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ არ დაიშრიტოს ის წყარო, რომელმაც მთელს სოფელს მისცა წმინდა წყლის სახელი.

3.2. სანაპიროსთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

3.2.1. სოფლის მეურნეობა და თევზჭერა⁵

სოფლის მეურნეობა და თევზჭერა სანაპირო ზონის ეკონომიკის ტრადიციულ დარგებს წარმოადგენენ. ორივე ეს დარგი განიცდიდა სერიოზულ სიძნელეებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში. მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო დაქვეითებისა, სოფლის მეურნეობა კვლავაც რჩება მინათსარგებლობის უმთავრეს ფორმად სანაპირო ზონაში და ასრულებს არსებით როლს მოსახლეობის ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობაში.

უკანონო თევზჭერა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამჟამად, თევზჭერის სფეროსთვის არ არის შემუშავებული ეროვნული პოლიტიკა და/ან სპეციალური კანონმდებლობა. ასევე, არ არსებობს თევზჭერის რეგულირების ისეთი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობდა დარგის მდგრად განვითარებას. თევზჭერის სფეროში ნათლად არ არის გამოჯნული კომპეტენციები სხვადასხვა უწყებებს შორის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო დარგი არასათანადო დონეზე იმართება. მეცნიერული ცოდნა ზღვისა და შიდა წყლების ბუნებრივ რესურსებზე მეტად შეზღუდულია. ამჟამად, არ წარმოებს თევზჭერის სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვების კოორდინაციის მექანიზმი; ნათელი არ არის თუ რომელი უწყება არის პასუხისმგებელი ამგვარი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე, რაც ამ სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე ნეგატიური კუთხით აისახება.

თევზჭერი ფლოტი, შესაბამისი საპორტო ინფრასტრუქტურა, თევზჭერის პროდუქციის მიღებისა და თევზის გადამამუშავებელი სიმძლავრეები უმეტესად მოძველებულია და ცუდად აღჭურვილი, ისინი ვერ აკმაყოფილებენ უსაფრთხოებისა და ხარისხისადმი ნაყენებულ მოთხოვნებს. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო მონაკვეთის წყლებში ხაშის ინტენსიური მოპოვება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ამ სახეობის პოპულაციის რიცხოვნობისათვის. გარდა ამისა, ზღვის წყლების მანვნი ვივითერებებით დაბინძურებამ, ფსკერული ტრალის გამოყენებამ, თევზჭერის სფეროში ეროვნული პოლიტიკის არარსებობამ და ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ გამოიწვია ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ასევე, ბიომასის კლება. უკანასკნელ ხანს ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ თევზის ძირითადი სახეობების მარაგები შემცირებულია, თუმცა, მიმდინარე პერიოდში, ითვლება რომ შეინიშნება გარკვეული გაუმჯობესების ტენდენციაც.

⁵ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიში „საქართველოს თევზის რესურსებისა და მათი ექსპლუატაციის დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვა“, თბილისი, 2004 და მასში მოყვანილი SWOT დასკვნები. ანგარიში ხელმისაწვდომია ინტერნეტის გვერდზე http://www.fao.org/world/georgia/review_fisheries_Georgia.doc

საქართველოს სანაპირო ზონაში აკვაკულტურას განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია. თუმცა, ინვესტიციებისა და ამ სფეროში შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა ხელს უშლის აღნიშნული დარგის განვითარებას.

3.2.2. ტურიზმი

სანაპირო ზონის სუბტროპიკულმა კლიმატმა, პლაჟებმა და ბუნების სხვა ღირსშესანიშნაობებმა ხელი შეუწყო საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ტურიზმის წარმატებით განვითარებას. საბჭოთა პერიოდში მრავალი კურორტი, სასტუმრო თუ სანატორიუმი აშენდა, განსაკუთრებით ბათუმსა და ქობულეთს შორის მდებარე სანაპიროს მონაკვეთზე, თუმცა მათი უმრავლესობა ამჟამად ცუდ მდგომარეობაშია. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება. გააქტიურდა კერძო ინვესტიციები. მცირე სასტუმროები სანაპიროზე მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა — მცირე სასტუმროების დატივრთვის სეზონური ხასიათის მიუხედავად, რაც წელიწადში მხოლოდ ორიოდ თვეს მოიცავს. ამასთან, თვალშისაცემია აღნიშნულ სექტორში გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდების გამოუყენებლობა. ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთს იმ ოთხი დარგიდან, რომელთა განვითარებაც პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული სიღარიბის დაძლევის ეროვნულ სტრატეგიაში, და ამდენად, საქართველოს მთავრობის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მთავარ პრიორიტეტებადაა აღიარებული.

ჩანართი 3. ტურიზმის განვითარების ინტეგრირებული დაგეგმვის საკითხები (სოფელ წყალწმინდას მაგალითი)

გურიის სანაპიროზე მდებარე სოფელ წყალწმინდაში ადგილობრივი მცხოვრებლები უკვე დაინტერესდნენ და ახდენენ საკუთარ საცხოვრებელი სახლების ე.წ. “გესთჰაუზის“ ტიპის საოჯახო სასტუმროს მსგავსად მოწყობას. მათ მაგალითზე სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებელთაც უჩნდებათ იგივეს გაკეთების სურვილი. თუმცა, ჯერ არ არსებობს კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორი გზით უნდა განვითარდეს ადგილობრივი ტურიზმი. თავის მხრივ, ამგვარ განვითარებას მრავალი სირთულე უდგას წინ:

ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, კერძოდ საკანალიზაციო და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის სისტემების არარსებობა. ინფრასტრუქტურა საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, და ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეკეთებასაც კი არ ექვემდებარება;

ბ) საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ნაწილობრივ გროვდება კერძო პირთა ძალისხმევით შედეგად. თუმცა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ძირითადი მასა იწვება ან მათი განთავსება ხდება მოქმედი ნორმების დარღვევით. პლასტმასის ტარა და სხვა ბიოლოგიურად არადეგრადირებადი ნარჩენები მდინარე სუფსას ჩააქვს ზღვაში, რომელიც შემდეგ გამოირიყება და გროვდება წყალწმინდის პლაჟზე, ნაწილი კი ტივტივებს სანაპირო წყლებში — ასეთი მდგომარეობა, ზოგადად, დამახასიათებელია საქართველოს მთელი სანაპიროსთვის. თუკი მიზანს ტურიზმის განვითარება წარმოადგენს, ცხადია რომ ნარჩენების პრობლემის გადაჭრა პრიორიტეტული უნდა გახდეს;

გ) არასათანადო დაგეგმვისა და სანაპიროს ტერიტორიებზე არსებული სახელმწიფო სა-კუთრების არასაკმარისად წინდახედული პრივატიზაციის პირობებში მოსახლეობისათვის პლაჟებზე დაშვების (გასასვლელების) შეზღუდვა;

დ) ხშირ შემთხვევაში ნაპირების ეროზიასთან ბრძოლა სპონტანურ ხასიათს ატარებს, ხოლო სამუშაოები შესაბამისი დარგის სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე იგეგმება და ხორციელდება.

კონკრეტულ შემთხვევაში, კერძო ინიციატივას (ქმედებას) მცირე წვლილის შეტანა თუ შეუძლია პრობლემების გადაწყვეტაში, მაშინ, როდესაც მომავალზე ორიენტირებულ, ინტეგრირებულ დაგეგმვას შესწევს უნარი სწორ გადაწყვეტილებაზე რესურსების ფოკუსირებისა და ამით ახალი შესაძლებლობების შექმნისა მთელი საზოგადოებისათვის.

3.2.3. ინფრასტრუქტურა და მომსახურება⁶

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არასაკმარისი ინვესტიციები იქნა დაბანდებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში. არაადეკვატური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს არა მარტო სანაპიროს მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის განმაპირობებელ მიზეზს, არამედ ზრდის გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასაც, როგორცაა მაგალითად, გარემოს დაბინძურება და საშუალო მერქნის მოპოვება. სანაპირო დასახლებები ძირითადად უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებით. ამასთან, ინვესტიციების არარსებობა და აღდგენითი სამუშაოების არარეგულარული ხასიათი იწვევს მილგაყვანილობის მდგომარეობის გაუარესებას, მილების დასილვასა და შლამით ამოვსებას, წყალსატუმბი სადგურების მწყობრიდან გამოყვანას. აღნიშნულის შედეგად გამწმენდი ნაგებობების დიდი ნაწილი პრაქტიკულად აღდგენასა და შეკეთებას აღარ ექვემდებარება. საკანალიზაციო სისტემა ასევე უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია. საკანალიზაციო ქსელის გადავსება და გაუმწმენდავი წყლების ქუჩებში გადინება სერიოზულ სანიტარიულ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის. მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების კვალობაზე უკანასკნელ პერიოდში მიღწეულია გარკვეული პროგრესი, თუმცა, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

3.2.4. პორტებისა და ნავსაყუდლების განვითარება

ბათუმისა და ფოთის პორტები და ნაწილობრივ სუფსის ნავთობტერმინალი წარმოადგენენ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვან ობიექტებს. პორტებს ანგარიშგასაწევი ადგილი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკის საერთო სტრუქტურაშიც. პორტების შემდგომი განვითარების ტენდენციას გამოკვეთილი ხასიათი გააჩნია. ამასთან, მიღებულია გადაწყვეტილება ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის თაობაზე.

პორტებთან დაკავშირებულმა ტრადიციული დარგების დიდმა ნაწილმა (გემთმშენებლობა,

⁶ საქართველოს პრეზიდენტის ახალი სამოქმედო პროგრამის — „ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტს საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის სასმელი წყალი“ მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად.

თევზის გადამუშავება, ნაოსნობა) საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მკვეთრი დაცემა განიცადა, მაგრამ 1998 წლიდან საპორტო მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა. მისი ტვირთბრუნვის ძირითადი ნაწილი დამოკიდებულია სატრანზიტო ტვირთების მომსახურებაზე, კერძოდ კი ნავთობის, რომელიც საპორტო ტერმინალებს რკინიგზის და ნავთობსადენების მეშვეობით მიეწოდება. საპორტო მეურნეობა კონკურენტუნარიანი ხდება, როგორც საქართველოში არსებულ გადაზიდვის საშუალებათა ალტერნატივებს შორის (მილსადენების ჩათვლით), ისე მეზობელი რეგიონებისა და ქვეყნების, მაგალითად თურქეთის პორტების მიმართაც.

იმ შემთხვევაში, თუ ახალი პორტების მშენებლობის დაგეგმვის პროცესში სათანადოდ არ იქნება გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები და ეკონომიკის სხვა დარგებსა და სანაპიროს სხვა ადგილებზე ახალი პორტების მწყობრში შეყვანით გამოწვეული ზემოქმედება — გაჩნდება იმის რისკი, რომ ახალმა ინვესტიციებმა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა უფრო მეტი ზიანი მოიტანონ, ვიდრე სარგებელი.

3.2.5. სანაპიროს განვითარება

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით⁷ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა ეროვნულ და გეგმარებითი რეგიონების დონეზე განეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას (პასუხისმგებელ უწყებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენს), მაგრამ მუნიციპალურ დონეზე (დეტალურ დაგეგმვაზე) კონტროლი ხორციელდება უფრო მწირი რესურსების მქონე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მუნიციპალიტეტების) მიერ, რომელთაც სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში გამოცდილება არ გააჩნიათ.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ზემოხსენებული ნაკლოვანებები განაპირობებენ სანაპირო ზონისათვის მიუღებელი და არასენსიტიური განაშენიანების მაგალითების არსებობას. ეს შეეხება არასათანადო ადგილებში დაწყებულ და შემდეგ მიტოვებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობას, უსახურ მრავალსართულიან სახლებს საკურორტო ადგილებში და მოქმედი წესებისა და ნორმების დარღვევით აშენებულ მრავალრიცხოვან აგარაკებს, განსაკუთრებით გურიის რეგიონში.

ჩანართი 4. უკონტროლო განაშენიანება კურორტ ურაკის ტერიტორიაზე

ნაპირთან უშუალოდ მიმდებარე ფიჭვნარი ნარგავებით დაფარული ტერიტორიისა და სანაპირო ზონის სიღრმეში მდებარე ურეკი-ნატანების მონაკვეთის განაშენიანება (ათვისება) სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. თვით კურორტ ურეკის ტერიტორიის ფარგლებში, ტურისტული ობიექტებისა და კაფე-ბარების/რესტორნების დაუგეგმავი მშენებლობა სანაპიროს უშუალო სიახლოვეს სწორედ პლაჟების იმ ბუნებრივ ღირებულებას ამცირებს, რომელიც ყველაზე მიმზიდველია ტურისტებისათვის.

⁷ საქართველოს კანონი „სივრცითი მონყოლისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“.

ჩანართი 5. ყულევის ნავთობტერმინალის მშენებლობა

არასანქცირებული განაშენიანების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ყულევის ნავთობტერმინალის მშენებლობა, რომელიც ნებადართული იქნა 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით — თუმცა, ეს მოხდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების გავლის (გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების) გარეშე. აღსანიშნავია, რომ შედეგად, დაზიანდა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიები, რის გამოც, შემდგომში, ინვესტორი იძულებული გახდა დათანხმებულიყო მნიშვნელოვანი კომპენსაციის ანაზღაურებაზე. სათანადო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა როგორც ღირებული ჭარბტენიანი ჰაბიტატების დაზიანების, ასევე, მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილება.

უკანონო და დაუგეგმავი მშენებლობები პლაჟებზეც აღწევს, ზრდის სანაპიროზე წყალდიდობებისაგან გამონეწული უბედური შემთხვევებისა და ზიანის რისკს, აფერხებს და ზოგ შემთხვევაში კი ფიზიკურად ზღუდავს ადამიანებისთვის სანაპიროზე გასასვლელ გზებს. ამას ემატება მავნე ზემოქმედება იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე და სანაპიროს მნიშვნელოვან ჰაბიტატებზე. ცხადია, რომ სანაპირო ზონაში ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვა შეიძლება განხორციელდეს მინათსარგებლობისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ადეკვატური სისტემის დანერგვის საფუძველზე.

3.2.6. ნარჩენების მართვა

მდინარეთა ნაპირებისა და ხმელეთის სანაპირო ზოლის ნარჩენებით დაბინძურება საყოველთაოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს სანაპირო ზონის უდიდესი ნაწილისათვის. აღნიშნული პრობლემა მწვავე ხასიათს იძენს ტურისტული სეზონის დროს. 2007 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში დაახლოებით 350,000 კუბური მეტრის ოდენობის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი იქნა წარმოქმნილი, საიდანაც უმეტესი ნაწილი უკანონო ნაგავსაყრელებზე იქნა განთავსებული. როგორც ქალაქ ბათუმის, ასევე ქალაქ ფოთის ნაგავსაყრელი დაუშვებელ ამორტიზირებულ მდგომარეობაშია. ორივე მათგანი მდინარეთა ნაპირების უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, რაც ზედაპირული წყლების და ზღვის სერიოზულ დაბინძურებას იწვევს. სანაპიროს პლაჟების დაბინძურების მთავარ წყაროს ეროზირებული, არასწორად განთავსებული და არასწორ ექსპლუატაციას დაქვემდებარებული ნაგავსაყრელები წარმოადგენს. ამ პრობლემის მოგვარებისა და მაღალი გარემოსდაცვითი ღირებულების მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) აფინანსებს ბათუმისა და ქობულეთისათვის ნაგავსაყრელის მშენებლობას. პარალელურად, იგივე საფინანსო ინსტიტუტი გეგმავს არსებული ნაგავსაყრელების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მყარი ნარჩენები უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ სანაპიროს ინტერესების ფართო სპექტრზე, მათ შორის ტურიზმზე — ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სანაპიროს გარეგნულ იერს. ეს პრობლემა ზემოქმედებას ახდენს, როგორც ხმელეთის, ისე ზღვის გარემოზე. სანაპირო წყლების დაბინძურება უარყოფითად მოქმედებს მოცურავეებზე და ზღვაში მობინადრე ბიოლოგიურ სახეობებსა და პოპულაციებზე.

3.2.7. სანაპიროს დაბინძურება

სანაპირო წყლების დაბინძურება წარმოებს მრავალი განსხვავებული ტიპის წყაროდან, მათ შორისაა სამრეწველო ნარჩენი წყლები, კანალიზაცია, სანიაღვრე წყლები, ნავთობის ქრონიკული დაღვრა, ჩამდინარე წყლები სასოფლო-სამეურნეო ობიექტებიდან, დრაგირება, გემებიდან ბალასტური წყლების ჩაშვება. ცხადია, რომ სამრეწველო და მუნიციპალური ჩამდინარე წყლების არასათანადო განმენდა ან გამწმენდი ნაგებობების არარსებობა მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რის შედეგადაც ორგანული ნარმოშობის ნივთიერებებით ბინძურდება სანაპირო წყლები. სანაპირო ზონაში პესტიციდები და სასუქები ფართოდ გამოიყენება, რაც ნუტრიენტებით და ქიმიკატებით დაბინძურებას იწვევს. შესაბამისად, არასტაციონარული წყაროებიდან ჩამონადენი დაბინძურების ძირითადი ხვედრითი წილი სწორედ სოფლის მეურნეობაზე მოდის. სანაპიროზე ზონის გარემოზე ასევე ზემოქმედებას ახდენს ჰაერის დაბინძურება საზღვაო და სახმელეთო წყაროებიდან.

სანაპიროს დაბინძურება უარყოფითად მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე და იწვევს სანაპიროს ხმელეთისა და ზღვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დეგრადაციას. დაბინძურების მონიტორინგის თანმიმდევრული და საიმედო მონაცემები არ არსებობს, რაც აძნელებს პრიორიტეტების განსაზღვრას და მიღწეული შედეგების შეფასებას.

3.2.8. სახელმწიფო მმართველობა

გადანყვეტილების მიღების პროცესის ცენტრალიზებული სისტემის არსებობის პირობებში სანაპიროსთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებთან მიმართებაში დაინტერესებულ მხარეთათვის საკმაოდ რთულია ადეკვატურ გადანყვეტილებათა მიღება. სანაპიროს საკითხებთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკაზე დაფუძნებულ გადანყვეტილებათა მიღების სისტემა პრაქტიკულად ან არ არსებობს, ან არ არის სათანადოდ კოორდინირებული და აღსრულებული.



თავი IV. პერსპექტიული ხედვა (მიზანი)

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს შემდეგი პერსპექტიული ხედვის (მიზნის) რეალიზაციას:

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ფარგლებში ხმელეთისა და ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენება და დაცვა, ეკონომიკური ზრდა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ფორმირება დღევანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.



თავი V. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

5.1. სტრატეგიის მიზნები

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის ზოგად მიზანს წარმოადგენს სანაპირო ზონის განვითარებასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებათა მიღების იმგვარი მექანიზმის შექმნა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება სანაპიროს მდგრადი განვითარება და ინვესტორებისათვის მიმზიდველი გარემოს ფორმირება.

სანაპირო ზონის ფარგლებში რესურსების რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაძლებლობების დაუბლირებისა და უყაირათო პრაქტიკის თავიდან აცილებით. სანაპიროს განაშენიანებისათვის აუცილებელი მინის სავარგულები ამისათვის შესაფერის ადგილებში უნდა გამოიყოს, ხოლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს (მათ შორის კომუნალური) განვითარება განაშენიანების პარალელურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. სტრატეგიის მიზანია, აგრეთვე, გამოავლინოს და დაიცვას გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რესურსები, ბიომრავალფეროვნების ჩათვლით. თავიდან აცილებული უნდა იქნეს განვითარება/განაშენიანება სახიფათო ტერიტორიებზე (მაგალითად წყალდიდობის ან ნაპირების ეროზიის საფრთხის ქვეშ მყოფ ადგილებში). პასუხისმგებლობა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის სამართლიანად და გონივრულად უნდა იქნეს გადანაწილებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის მიზნები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:

- ა) გადანყვეტილების მიღების პროცესში ლოგიკური და რაციონალური საფუძვლების (მიდგომების) გამოყენების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და დაცვას;
- ბ) რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა;
- გ) სანაპირო ზონისათვის აუცილებელი განვითარების/განაშენიანების

მიზნებისათვის საკმარისი ოდენობის მიწის სავარგულების შესაფერ ადგილებში გამოყოფის უზრუნველყოფა;

- დ) სანაპიროს დაგეგმილი განვითარების/განაშენიანების პარალელურად ინფრასტრუქტურისა და მოსახურების განვითარების უზრუნველყოფა (კომუნალური ინფრასტრუქტურის ჩათვლით);
- ე) გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რესურსების გამოვლენა და დაცვა;
- ვ) განვითარების/განაშენიანების თავიდან აცილება და შეზღუდვა მაღალი რისკის მქონე სახიფათო ტერიტორიებზე (მაგალითად, ტერიტორიები, რომლებიც იტბორება წყალდიდობების დროს ან ზიანდება ნაპირების ეროზიით) — კლიმატის ცვლილების შესაძლო შედეგების გათვალისწინებით;
- ზ) ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მეშვეობით სანაპირო ზონაში მდგრადი განვითარებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის (მაგალითად, მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და სანაპირო ზოლის რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმების შექმნა) პირობების უზრუნველყოფა;
- თ) ბუნებრივი რესურსებისა და მიწის სავარგულების გამოყენებისა და მოხმარების სფეროში ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინტერესებს შორის, აგრეთვე, სხვადასხვა დარგებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილების უზრუნველყოფა და ამ მიზნით სანაპირო ზონასთან დაკავშირებული ეფექტური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ი) სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთავსებადი მექანიზმებისა და მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების უზრუნველყოფა.

5.2. ბუნებრივ ფაქტორებთან დაკავშირებული სტრატეგიული ამოცანები

ბუნებრივ ფაქტორებთან დაკავშირებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიული ამოცანებია:

5.2.1. ნაპირების ეროზიისა და წყალდიდობის (წყლით დატბორვის) რისკის შემცირების სფეროში:

- 5.2.1.1. ყველა სახეობის წყალდიდობის (წყლით დატბორვის) რისკის შემცირება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სანაპიროს ადგილობრივ მოსახლეობასა და სანაპიროზე სამეურნეო საქმიანობას;
- 5.2.1.2. მდინარეთა კალაპოტებსა და ზღვის სანაპირო ზოლის წყლებში ქვიშისა და ხრეშის ინერტული მასალების მოპოვების და დრაგირების გაკონტროლება;
- 5.2.1.3. სამშენებლო ნებართვის გაცემამდე სანაპირო და მდინარეთა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის ან სანაპიროზე განსახორციელებელ სხვა სახის საქმიანობათა ნაპირების ეროზიისა და ნაპირნარმომქმნელ პროცესებზე შესაძლო ზემოქმედების დეტალური შეფასების ჩატარების უზრუნველყოფა;
- 5.2.1.4. კლიმატის შესაძლო ცვლილების თაობაზე არსებული პროგნოზების გათვალისწინება.

- 5.2.1.5. ნაპრიდაცვის დაგეგმვისა და მართვის სამენეჯმენტო სისტემის განვითარება;
- 5.2.1.6. სანაპირო ზონაში მოსალოდნელი სახიფათო მოვლენების შეფასება და ზონირების სათანადო ინსტრუმენტების დანერგვა გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური, კლიმატური, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით.

5.2.2. ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სფეროში:

- 5.2.2.1. იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისა და სახეობების იდენტიფიკაცია, დაცვა და აღდგენა;
- 5.2.2.2. საჭიროებისდა მიხედვით ახალი დაცული ტერიტორიებისა (მათ შორის დაცული ლანდშაფტების) და მათი დამხმარე/ბუფერული ზონების შექმნა;
- 5.2.2.3. სანაპირო ზონაში არსებული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასება და მონიტორინგი, ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა, მენეჯმენტის მეთოდების დროული განახლება/გადასინჯვა;
- 5.2.2.4. ბუნებრივი რესურსების მოხმარების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც არ გადააჭარბებს გარემოზე დატვირთვის ნორმებს და უზრუნველყოფს გარემოს მდგრადობას;
- 5.2.2.5. ჭრებისა და ხანძრების შედეგად დაზიანებული რელიქტური კოლხური ტყის კორომების აღდგენა — როგორც სანაპიროს დაცული ტერიტორიების შიგნით, ასევე, მათ მიმდებარე ტერიტორიებზე;
- 5.2.2.6. საჭიროებისდა მიხედვით ტორფიანი ჭაობების დარღვეული ჰიდროლოგიური რეჟიმისა და მცენარეული საფარის აღდგენა — გრუნტის ნცლების დონის მართვისა და ტორფიანი ჭაობების მცენარეულობის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის გზით;
- 5.2.2.7. ისეთი ინვაზიური უცხო სახეობების გავრცელების შემცირება, აღკვეთა და არდაშვება, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებენ, ან შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება იქონიონ სანაპიროს გარემოსა და რესურსებზე;
- 5.2.2.8. სანაპირო ზონაში საზღვაო და სახმელეთო ტერიტორიების ინტეგრირებული მართვის მეთოდების გამოყენება — „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.3. სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული სტრატეგიული ამოცანები

სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიული ამოცანებია:

5.3.1. სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სფეროში:

- 5.3.1.1. თევზის მარაგების ზრდა თევზჭერის სტაბილური მოცულობის დონის მისაღწევად და ასევე, ქვირილობისა და ტოფობის უბნებისა და მიგრაციული გზების დაცვა;

- 5.3.1.2. თევზის მეურნეობის, როგორც სანაპიროს ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლების სტაბილური და მიმზიდველი წყაროს აღორძინება;
- 5.3.1.3. თევზის მეურნეობის მდგრადი მენეჯმენტის უზრუნველყოფა — გონივრულ გარემოსდაცვით, სამეცნიერო და ეკონომიკურ პრინციპებზე დაფუძნებული სტრატეგიებისა და გეგმების შესაბამისად;
- 5.3.1.4. გარემოზე დაბალი ზემოქმედების მქონე აკვაკულტურისა და მარიკულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- 5.3.1.5. სანაპირო ზონაში მდგრადი, მათ შორის ბიოლოგიური (ორგანული) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, რაც საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, ადგილობრივ დასახლებებსა და ტურისტულ ობიექტებს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციით, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირებს გარემოს დაბინძურებას სასოფლო-სამეურნეო ნარმოების ჩამონადენებით;
- 5.3.1.6. საძოვრების დატვირთვის ნორმების გათვალისწინებით მდგრადი მესაქონლეობის წარმოება სანაპიროს დაცული ტერიტორიების მიმდებარე საძოვრებსა და სახეობათა ჰაბიტატებისა და ტყის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად ვარგის ტერიტორიებზე, მათ შორის ტყის აღგენისას ნარგავების ძოვებისგან დაცვის მეთოდების გამოყენებით;
- 5.3.1.7. ტყით დაუფარავ ტყის ფონდის მიწებსა და დეგრადირებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე სათემო და საჯარო-კერძო ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული პლანტაციური მეტყევეობის სისტემების განვითარების ხელშეწყობა (კომერციული საქმიანობისა და სანაპიროს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით), სადაც გამოყენებული იქნება ადგილობრივ მერქნიან ხემცვენარეთა სახეობები და სადაც შესაძლებელი იქნება როგორც საშეშე, ასევე სამასალე მერქნის დამზადება;
- 5.3.1.8. კოლხეთის დაბლობზე დაცული ტერიტორიების გარეთ ტორფის ხავის (სფაგნუმის) მდგრადი კულტივირების მეთოდების სამეცნიერო კვლევისა და დანერგვის ხელშეწყობა.

5.3.2. ტურიზმის სფეროში:

- 5.3.2.1. სანაპირო ზონაში რეკრეაციული დანიშნულების ობიექტების (მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად) ექსპლუატაცია, შემდგომი გაფართოება და ახალი ობიექტების მშენებლობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო ხარისხი და მიმზიდველობა;
- 5.3.2.2. სანაპირო ზონაში და განსაკუთრებით ტურიზმის სექტორში მშენებლობის ნარმოების მდგრადი მეთოდების და ე.წ. „მწვანე დიზაინის“ დანერგვის სტიმულირება უპირატესობის მინიჭებით იმგვარი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობებისათვის, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე;
- 5.3.2.3. სანაპირო ზოლში ნაპირის მიმართულებითა და ნაპირის გასწვრივ თავისუფალი ყოფნისა და გადაადგილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 5.3.2.4. ტურიზმის პროდუქტის და ადგილობრივი შემოსავლების წყაროების გამრავალფეროვნების და სეზონურობის გაფართოების მიზნით მდგრადი ტურიზმის ისეთი სპეციფიკური ფორმების მხარდაჭერა, როგორებიცაა კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, სპორტული და რეკრეაციული ტურიზმი, ტრადიციულ-სანახაობითი

ტურიზმი და ეკოტურიზმი, იმ პირობით, რომ დატვირთვის ნორმების გათვალისწინებით შენარჩუნებულ იყოს ეკოსისტემები, ბუნებრივი რესურსები და ლანდშაფტები, ასევე დაცული იყოს ადგილობრივი ტრადიციები და კულტურული ღირებულებები.

5.3.3. ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში:

- 5.3.3.1. სანაპირო ზონის თითოეული მცხოვრების უზრუნველყოფა საიმედო და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ელექტროენერჯის მიწოდებისა და სასამელი წყალმომარაგების სისტემებით;
- 5.3.3.2. ინფრასტრუქტურული პროექტების (მიუხედავად მათი დაფინანსების წყაროებისა) განხორციელების ნებისმიერ სტადიაზე ინტეგრირებული მიდგომების გამოყენება — ამგვარ პროექტებში სანაპირო ზონის დაგეგმვისა და მენეჯმენტის კომპონენტების ჩართვის გზით;
- 5.3.3.3. ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები და სხვა) დაპროექტებისას და მშენებლობისას წყალდიდობების (წყლით დატვირთვის) და სანაპიროს სხვა ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინების უზრუნველყოფა;
- 5.3.3.4. ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების შეკრების და განმუხტვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

5.3.4. პორტებისა და ნავსაყუდლების განვითარების სფეროში:

- 5.3.4.1. პორტებისა და ნავსაყუდლების (და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) განვითარებითა და ექსპლუატაციით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, ან შერბილების მაქსიმალური უზრუნველყოფა, ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში;
- 5.3.4.2. პორტებისა და ნავსაყუდლების განვითარებისა და ექსპლუატაციის პროცესში მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღების უზრუნველყოფა და ამ სარგებლის სანაპირო ზონაში მოქმედი მენარმეებისა და სანაპირო ზონის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისათვის გამოყენება;
- 5.3.4.3. პორტებსა და ნავსაყუდლებში არსებული სიმძლავრეების სრულად ათვისება (არსებული სიმძლავრეების მოდერნიზაციისა და გაფართოების ჩათვლით იქ, სადაც ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას სანაპიროს გარემოსა და რესურსებზე) ნებისმიერ სხვა ადგილზე ახალი პორტებისა და ნავსაყუდლების მშენებლობის დაწყებამდე;
- 5.3.4.4. იმის უზრუნველყოფა, რომ ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს სანაპირო ზონის მდგრადი განვითარების საქმეს.

5.3.5. სანაპიროს განვითარების სფეროში:

- 5.3.5.1. განვითარებასა და განამუხიანებასთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობის განთავსების, დაპროექტებისა და ექსპლუატაციის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- 5.3.5.2. მინის პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალე და შეთანხმებული გეგმებისა და პროცედურების შესაბამისად წარმართვა და მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფა;
- 5.3.5.3. ხმელეთისა და ზღვის სანაპირო ზოლის ტერიტორიების პრივატიზაციის თავიდან აცილება, გარდა უკვე ათვისებული ტერიტორიების პრივატიზებისა არსებული განაშენიანების განახლების მიზნით;
- 5.3.5.4. აუთვისებელი სანაპირო ლანდშაფტების ესთეტიკურ ფასეულობათა შენარჩუნება, განსაკუთრებით ხმელეთის სანაპირო ზოლში — მათ შორის, საზღვაო და სახმელეთო დაცული ტერიტორიების (დაცული ლანდშაფტები, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები) შექმნის გზით;
- 5.3.5.5. ხმელეთის სანაპირო ზოლში ნანგრევებისა და მიტოვებული ნაგებობების დემონტაჟისა და ნარჩენების გატანის აქტიური ხელშეწყობა და სტიმულირება;
- 5.3.5.6. სანაპირო ზონის გარემოსა და რესურსების გამოყენებისა და მოხმარების არათავსებად, ან ურთიერთსაზიანო სახეობებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილება; დაგეგმვისა და ზონირების მეთოდების გამოყენებით, თავსებად საქმიანობათა ერთად, ხოლო არათავსებად საქმიანობათა განცალკევებით განხორციელების უზრუნველყოფა;
- 5.3.5.7. ზღვისა და ხმელეთის სანაპირო ზოლში მოსახლეობის უზრუნველყოფა ნაპირის მიმართულებით და ნაპირის გასწვრივ გადაადგილების მაქსიმალურად ხელმისაწვდომი საშუალებებით და შესაბამისი საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტებითა და ნაგებობებით; ამგვარ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების წარმართვა კერძო მესაკუთრეთა უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვის გარეშე;
- 5.3.5.8. „შავი ზღვის ტურისტული ბილიკის“ მონყობა, რომელიც, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეუფერხებელ გადაადგილებას ხმელეთის სანაპირო ზოლში;
- 5.3.5.9. სანაპირო ზონის ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო პირობების, შემოსავლებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება — მათთვის კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურების განწვეის, ან ეკონომიკური სტიმულირების სხვადასხვა ფორმის (მცირე კრედიტები, გრანტები) შეთავაზების გზით, რათა შესაძლებელი იქნეს სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფი საქმიანობის წარმართვა.

5.3.6. ნარჩენების მართვის სფეროში

- 5.3.6.1. სანაპირო წყლებისა და სახმელეთო ზოლის მყარი ნარჩენებით დაბინძურების მაქსიმალურად შესაძლებელ დონემდე შემცირება;
- 5.3.6.2. ნარჩენების გაუვნებელყოფის და განთავსების თანამედროვე მეთოდების, ნარჩენების მინიმიზაციის, მეორადი გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა;
- 5.3.6.3. ტოქსიკური და სხვა სახიფათო ნარჩენების ხმელეთის და ზღვის სანაპირო ზოლში განთავსების აკრძალვა, სახიფათო ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების რეკულტივაციის სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება;

5.3.6.4. ნარჩენების სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების დაჩქარება.

5.3.7. სანაპიროს დაბინძურების თავიდან აცილების სფეროში:

5.3.7.1. სტაციონარული და არასტაციონარული წყაროებიდან სანაპირო წყლების დაბინძურების დონის შემცირება საერთაშორისო სტანდარტების, ან სანაპიროს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო დონემდე;

5.3.7.2. რეკრეაციული (საბანაო), თევზსამეურნეო და სასმელი⁸ მიზნით გამოყენებული წყლის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ამგვარი სტანდარტების თაობაზე უკლებლივ ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას შორის შეთანხმების მიღწევა;

5.3.7.3. საზოგადოებრივი პლაჟების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საკონკურსო სქემის ორგანიზება პლაჟების მართვის ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორებიცაა საბანაო წყლის ხარისხი, ინფორმაცია და განათლება, პლაჟების ინფრასტრუქტურითა და უსაფრთხოების საშუალებებით უზრუნველყოფა;

5.3.7.4. სანაპირო ზონის გარემოზე ზემოქმედების (მათ შორის ჰაერის საზღვაო და სახმელეთო წყაროებიდან დაბინძურების) თავიდან აცილების მიზნით იმ ახალი ობიექტების განთავსება (ან არსებული ობიექტების გადატანა) ხმელეთის სიღრმეში, რომელთა ფუნქციონირებისათვის არ არის არსებითად აუცილებელი გასასვლელი ზღვაზე ან ზღვასთან;

5.3.7.5. ნავთობგადაზიდვების (როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო) დაგეგმილი მკვეთრი ზრდით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკ ფაქტორების მინიმიზაციის ღონისძიებების დაგეგმვა და დანერგვა.

5.3.8. სახელმწიფო მმართველობის სფეროში:

5.3.8.1. წინამდებარე სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეფექტური ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო მექანიზმის შექმნა — მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ეფექტური მექანიზმის ჩათვლით;

5.3.8.2. სანაპიროს საკითხებთან დაკავშირებით უწყებათაშორისი და დარგთაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება მმართველობის ყველა დონეზე და შესაბამისად კომპლექსურ და რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ხელშეწყობა;

5.3.8.3. სანაპიროს საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა და ამავე პროცესში, ადგილობრივ დონეზე, ყველა დაინტერესებული მხარისა და რესურსებით მოსარგებლეთა მონაწილეობის მხარდაჭერა;

⁸ აღნიშნული სტრატეგიული ამოცანის შესრულება (სასმელი წყლის ხარისხის ნაწილში) ხელს შეუწყობს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის №349/ნ ბრძანების (სსმ, 18.12.2007 წ., №179, მუხ.1973) აღსრულების საქმეს.

- 5.3.8.4. გრძელვადიანი პერიოდისათვის სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტაბილურობის უზრუნველყოფა შემოსავლების გენერირების, ასევე, საგარეო დახმარებისა და დარგთაშორისი ხასიათის მხარდაჭერის გზით;
- 5.3.8.5. საჭიროებისდა მიხედვით მმართველობის დეცენტრალიზაციის პრინციპის გამოყენება;
- 5.3.8.6. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სფეროში სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის წარმართვა;
- 5.3.8.7. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სფეროში გათვალისწინებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანიზაციებისა და ექსპერტების გამოცდილება და მონაწილეობა;
- 5.3.8.8. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მექანიზმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მდინარეთა აუზების მართვის შესაბამის პროგრამებთან და ღონისძიებებთან ინტეგრაციისა და სრული თავსებადობის უზრუნველყოფა;
- 5.3.8.9. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის უზრუნველყოფა სანაპირო ზონაში და ინტეგრირება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებულ მინათსარგებლობის გეგმებთან;
- 5.3.8.10. სანაპირო ზონის გარემოსა და რესურსების გაუმჯობესებული მართვის უზრუნველსაყოფად სანაპიროს სივრცული ინფორმაციული სისტემის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება.



თავი VI. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად თანამიმდევრულად უნდა იქნეს გამოყენებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები. აღნიშნული პრინციპები ეფუძნება სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სფეროში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებასა და ამავე სფეროსთან დაკავშირებულ საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები ქვემოთ მოყვანილი ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით არის დაჯგუფებული.

6.1. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ძირითად პრინციპებს განეკუთვნება:

6.1.1. „**მდგრადობის პრინციპი**“ — სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა უნდა განხორციელდეს მდგრადი გზით იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნეს როგორც ახლანდელი, აგრეთვე მომავალი თაობების ინტერესები და ასევე, შენარჩუნებული ან გაუმჯობესებული იქნეს არსებითი ხასიათის ეკოლოგიური პროცესები და ბიოლოგიური, ლანდშაფტური და კულტურული მრავალფეროვნება;

6.1.2. „**წინდახედულობის პრინციპი**“ — ერთმნიშვნელოვანი და სრული სამეცნიერო მონაცემების არარსებობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ხელისუფლების ორგანოებს, რათა მათ მთლიანად აკრძალონ ან შეზღუდონ იმგვარი სახის საქმიანობათა განხორციელება, რომელთაც სერიოზული, ან შეუქცევადი ზიანის მიყენება შეუძლიათ სანაპიროს გარემოსა და რესურსებისათვის;

6.1.3. „პრობნოზირების პრინციპი“ — უნდა განხორციელდეს გლობალური დათბობისა და ზღვის დონის აწევის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ცვლილებებისა და ტენდენციების, აგრეთვე, ბუნებრივი და ადამიანის ჩარევით გამოწვეული სახიფათო მოვლენების პროგნოზირება.

6.2. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები დაგეგმვისა და მართვის სფეროში

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპებს დაგეგმვისა და მენეჯმენტის სფეროში განეკუთვნება:

6.2.1. „ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპი“ — ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მიღწეული უნდა იქნეს ხელისუფლების იმ ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ჰარმონიზაცია, რომელთა ინტერესების სფეროსაც მნიშვნელოვანწილად განეკუთვნება სანაპიროს დაგეგმვისა და მართვის საკითხები;

6.2.2. „ჰორიზონტალური ინტეგრაციის პრინციპი“ — მიღწეული უნდა იქნეს თანმიმდევრული ურთიერთქმედება ეკონომიკის იმ ცალკეული დარგებსა და შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს შორის, რომელთა ინტერესების სფეროსაც მნიშვნელოვანწილად განეკუთვნება სანაპიროს დაგეგმვისა და მართვის საკითხები;

6.2.3. „სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიების ინტეგრაციის პრინციპი“ — მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი საპროექტო ინიციატივა უნდა ითვალისწინებდეს სანაპირო ზონის როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო ტერიტორიასთან დაკავშირებულ ასპექტებს;

6.2.4. „მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის პრინციპი“ — სანაპირო ზონის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების და სანაპირო ზონასთან დაკავშირებულ მდინარეთა წყალშემკრები აუზების ურთიერთზეგავლენის გათვალისწინებითა და მდინარეთა დაბინძურებული ჩამდინარე წყლებით გამოწვეული სანაპირო წყლების დაბინძურების შემცირების (მინიმიზაციის) მიზნით — მდინარეთა წყალშემკრები აუზების ტერიტორიების ფარგლებში სამეურნეო ხასიათის (განვითარებასა და განაშენიანებასთან დაკავშირებული) ყველა იმ საქმიანობის დაგეგმვა და რეგულირება, რომელთაც შესაძლოა უშუალო და მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ სანაპიროს გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე, უნდა განხორციელდეს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად;

6.2.5. „ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“ — სახელმწიფო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ სანაპირო ზონის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას, ხელმისაწვდომობას და სანაპიროს გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარებისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობას;

6.2.6. „საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპი“ — განხორციელებული უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება სანაპირო ზონის გარემოსა და მისი რესურსების

მონიტორინგის, მართვისა და დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კუთხით, მათ შორის შავი ზღვის რეგიონის და ევროკავშირის სამეზობლოს ქვეყნებთან თანამშრომლობის კონტექსტში.

6.3. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები სანაპიროს დაცვისა და შენარჩუნების (კონსერვაციის) სფეროში

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპებს სანაპიროს დაცვისა და შენარჩუნების (კონსერვაციის) სფეროში განეკუთვნება:

6.3.1. „მორფოდინამიკური რეგულირების (დაცვის) პრინციპი“ — ზღვის კიდის ხაზის გასწვრივ უნდა დანესდეს სანაპირო ზოლის წყალქვეშა და ხმელეთის ზედაპირის მომცველი „ნაპირდაცვის ზონა“, რომელიც შეასრულებს ბუფერის ფუნქციას ნაპირების ეროზიის მიმდინარე და სეზონური პროცესების თავიდან აცილების საქმეში; ხოლო ნაპირების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეული უნდა იქნეს პლაჟნარმომქმნელი მყარი ნატანით შევსების ხელშემწყობი ღონისძიებები;

6.3.2. „ხმელეთის სანაპირო ზოლის დაცვის პრინციპი“ — ხმელეთის სანაპირო ზოლი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულებით, მათ შორის დაცული ტერიტორიების — ეროვნული პარკებისა და ბუნებრივი ნაკრძალების სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სანაპირო ზოლთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია ხმელეთის სანაპირო ზოლის პრივატიზება; ხმელეთის სანაპირო ზოლის ფარგლებში იკრძალება კანონმდებლობის დაცვით პრივატიზებული კომპაქტური კონფიგურაციის მქონე მიწის ნაკვეთის შემდგომი დანაწევრება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც წარმოებს უკვე განაშენიანებული მიწის ნაკვეთის განახლება უკეთესი განაშენიანებით;

6.3.3. „ბიომრავალფეროვნების დაცვის პრინციპი“ — უნიკალური ბიოლოგიური ან ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამორჩეული ტერიტორიები, რომლებიც, აქედან გამომდინარე, წარმოადგენენ საერთო ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილს, უნდა დაექვემდებარონ დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს, მათ შორის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების და განვითარების გზით. დაცვისა და მართვის რეჟიმს უნდა დაექვემდებარონ ასევე, მონყვლადი ტერიტორიები და ეკოსისტემები, ჰაბიტატები და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები;

6.3.4. „ზღვის აკვაულტურის განვითარების პრინციპი“ — სანაპირო ზონაში ზღვის აკვაულტურის მდგრადი განვითარების ხელშემწყობა უნდა წარიმართოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და საცდელ-საჩვენებელი პროექტების მხარდაჭერისა და სტიმულირების მეტოქების გამოყენების გზით;

6.3.5. „ესთეტიკურ ღირებულებათა დაცვის პრინციპი“ — მაღალი ესთეტიკური ღირებულების მქონე ტერიტორიებზე იკრძალება ნებისმიერი სახის განაშენიანება ან სხვა სახის სამეურნეო საქმიანობა, რომელიც ვიზუალური თვალსაზრისით არღვევს პეიზაჟს ან არ შეეფერება გარემოს. ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული და განაშენიანების ობიექტის განთავსება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ სანაპიროს გზებიდან, ტურისტული ბილიკებიდან და რეკრეაციული ზონებიდან სანაპიროს ხედების ვიზუალურ აღქმას არ შეექმნას მნიშვნელოვანი დაბრკოლება. ინფრასტრუქტურული და განაშენიანების ობიექტების დაპროექტებისას გამოყ-

ენებულის უნდა იქნეს ლანდშაფტური დაგეგმვის მეთოდები და შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ობიექტების არასასურველი ვიზუალური ზემოქმედების შემცირების აუცილებლობა; სამშენებლო მასალები შერჩეული უნდა იქნეს ბუნებრივ გარემოსთან და მიმდებარე შენობა-ნაგებობებთან ურთიერთშეხამების საფუძველზე.

6.4. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები მინის სავარგულებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების სფეროში

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპებს მინის სავარგულებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების სფეროში განეკუთვნება:

6.4.1. „რესტიტუციის პრინციპი“ — დეგრადირებული ბუნებრივი გარემო აღდგენილი უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით (*restitutio in integrum*). ამასთან, ბუნებრივი გარემოს აღდგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს დეგრადირებული ეკოსისტემების რეგენერაციის შესაძლებლობა;

6.4.2. პრინციპი „ღამზინაშრეპელი და მოსარგებლე იხლის“ — სანაპირო ზონის გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებს ანაზღაურებს ზიანის მიყენებელი. გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ სანაპიროს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შენარჩუნების ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსების სისტემის დამკვიდრებას — სანაპირო ზონაში მოქმედი ინვესტორებისა (მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) და მოსარგებლეებისათვის შესაბამისი გადასახდელების დანესების გზით;

6.4.3. „საუკეთესო ტექნოლოგიისა და საუკეთესო გარემოსდაცვითი გამოცდილების პრინციპი“ — სანაპიროს რესურსებზე, გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილების, ან თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებლობათა ფარგლებში, გამოყენებულ უნდა იქნეს საუკეთესო და ყველაზე ეფექტური ტექნოლოგიები და გარემოსდაცვითი გამოცდილება;

6.4.4. „სოციალურ-ეკონომიკური შეფასების პრინციპი“ — სანაპირო ზონის ფარგლებში სანაპირო ზოლთან დაკავშირებული საქმიანობისა და ასევე, სასტუმროების მშენებლობასა და სასტუმროების ქსელის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე შემუშავებული საპროექტო განაცხადი, შეიძლება განხილული იქნეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ მხოლოდ განსახორციელებლად გამიზნული საქმიანობის საჭიროებისა და აუცილებლობის დამასაბუთებელ სოციალურ-ეკონომიკურ შეფასებასთან ერთად;

6.4.5. „ბუნებრივი რესურსების თანაბარი განაწილებისა და მდგრადი მართვის პრინციპი“ — საერთო-საზოგადოებრივი დანიშნულების ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ზღვისა და ხმელეთის ფლორის, ფაუნისა და ეკოსისტემების მდგრადი გამოყენება და მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნეს სახეობათა ჰაბიტატების მონყვლადი ბუნება. ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისაგან მიღებული მატერიალური ან/და არამატერიალური სახის სარგებლის სამართლიანი და თანაბარი გადანაწილება.



თავი VII. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განახლება მართვის სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული განახლება

7.1. სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განახლება ნარმოებს, სულ მცირე, ყოველ ხუთ წელიწადში ერთჯერ. საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიის ტექსტში შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, ან უნდა მოხდეს სტრატეგიის ნაწილობრივ ან მთლიანად ძალადაკარგულად გამოცხადება და ახლის მიღება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტრატეგიის ეფექტურობა, ქმედითობა, ობიექტურობა და რეალურობა. სტრატეგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, ან მისი ნაწილობრივ ან მთლიანად ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი სტრატეგიის მიღების შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს სტრატეგიის თავდაპირველი ვარიანტის შემუშავებისა და მიღებისათვის დადგენილი პროცედურა.

7.2. სტრატეგიის ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა განხორციელდეს შავი ზღვის კომისიის მრეველთა ჯგუფის მიერ შეთანხმებული სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის დანერგვის პროგრესის მაჩვენებელი ინდიკატორების, ასევე სტრატეგიის განხორციელების თაობაზე მომზადებულ წლიურ ანგარიშებში მოყვანილი რეკომენდაციების საფუძველზე; ასევე, სანაპირო ზონის ბუნებრივი გარემოს (ბიომრავალფეროვნება, ნაპირის მორფოლოგია, სანაპირო წყლების ხარისხი და სხვ.) მდგომარეობის მონიტორინგის პროგრამის ეტაპობრივი დანერგვის შედეგად და ეკონომიკის განვითარების თაობაზე მოპოვებული მონაცემების საფუძველზე მომზადებული დასკვნების შესაბამისად.

7.3. სანაპირო ზონის ხმელეთისა და ზღვის ბუნებრივი გარემოს (სანაპირო ზონის მიუდგომელი ადგილებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ჩათვლით) მდგომარეობის მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს დისტანციური ზონდირების მეთოდები.

დანართი 1. სანაპირო ზონის იდენტიფიკაცია

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელების მიზნებისათვის სანაპირო ზონის ტერიტორიის იდენტიფიკაცია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით განხორციელდა. სანაპირო ზონა შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე, მათ შორისაა მინათსარგებლობა, რელიეფი, ეკოლოგიური ფაქტორები, სედიმენტაციის (მყარი ნატანის დაგროვების) და სხვა გეომორფოლოგიური პროცესები, წყლის ხარისხი, ჰიდროდინამიკური პირობები და სანაპიროზე მიმდინარე პროცესები. ცალკე აღებული მხოლოდ ერთი კრიტერიუმი ვერ გამოდგება იმისთვის, რომ გათვალისწინებული იქნეს სანაპიროს სისტემის ყველა ეს ზემოხსენებული ცვალებადი კომპონენტი, რომელთა გავრცელების არეალი ყოველთვის ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს. სანაპირო ზონის დადგენა საქროებს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობაში განხილვას. მრავალი სხვადასხვა იტერაციისა და კონსულტაციის საფუძველზე, რეკომენდებულ იქნა სანაპირო ზონის ტერიტორია, რომლის საზღვრები მდებარეობს სანაპიროსთან უშუალო სიახლოვეს და რომლებიც, იდენტიფიკაციის გაადვილების მიზნით, ეფუძნება თვითმმართველი ერთეულების (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული ნაწილების (დასახლებათა გაერთიანებების — თემების) საზღვრებს, ამასთან, გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორებიც:

- ა) ეკოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სანაპიროს სახმელეთო ტერიტორიამ უნდა მოიცავს ყველა ის ჰაბიტატი და ეკოსისტემა, რომლებიც საზღვაო გარემოს პირდაპირ ზეგავლენას განიცდიდა — როგორებიცაა სანაპირო დიუნები, ჭარბტენიანი ტერიტორიები და სხვა;
- ბ) სახმელეთო ტერიტორიამ უნდა მოიცავს სანაპირო ზონაში არსებული ყველა უმთავრესი გარემოსდაცვითი ფასეულობის მქონე მონაკვეთი. აქედან გამომდინარე სანაპირო ზონაში მოექცა სანაპიროზე ან სანაპიროს უშუალო სიახლოვეს მდებარე ყველა დაცული ტერიტორია;
- გ) ქალაქებში ფოთსა და ბათუმში სახმელეთო საზღვარი შემოიფარგლა ხმელეთის სანაპირო ზოლით, რომლის მაქსიმალური დაშორება სანაპიროს ხაზიდან არ აღემატება 500 მეტრს ხმელეთის მიმართულებით. აღნიშნული განპირობებული იქნა იმ გარემოებით, რომ ამ ზონაში ადამიანის საქმიანობას (ჩამდინარე წყლებით გარემოს დაბინძურება) შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა სანაპიროს ბუნებრივ გარემოზე. ამავე დროს, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება სანაპიროსთვის არასპეციფიკური საკითხებიც. ურბანულ გარემოში სანაპიროსთან უშუალოდ დაკავშირებულ და სანაპიროსთვის არასპეციფიკურ საკითხებს შორის გამოიწვევა არ წარმოადგენს ტრივიალურ ამოცანას. მაგალითისათვის, ქალაქ ფოთის შემთხვევაში ძალზე რთულია სანაპიროსთან უშუალოდ დაკავშირებული და გარემოსდაცვითი საკითხების გამოიწვევა ურბანული დაგეგმვის საკითხებისგან — იმდენად, რამდენადაც ქალაქი მდებარეობს ეროზირებულ ნაპირებზე, მცირე ჰიფსომეტრიული ნიშნულების მქონე დაბლობზე, ექვემდებარება მდინარისმიერი და ზღვისმიერი დატბორვის საშიშროებას და ამასთან, გარშემორტყმულია ეროვნული პარკის სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიით (კოლხეთის ეროვნული პარკი). აღნიშნული ტიპის განაშენიანებულ ტერიტორიებზე მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა (მუნიციპალიტეტებმა) და ურბანული დაგეგმვის სფეროსთან დაკავშირებულმა კომპეტენტურმა ორგანოებმა. ანალოგიური ხასიათის თანამშრომლობის მექანიზმები უნდა არსებობდეს მდინარეთა წყალშემკრები აუზების მართვის საკითხებთან მიმართებაშიც;

- დ) სახმელეთო საზღვრის პერიმეტრის შიგნით მიზანშეწონილია მოექცეს ისეთი ტერიტორიები, რომლებზედაც იმგვარი სამეურნეო საქმიანობის სახეობათა რეგულირების საჭიროება არსებობს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პირდაპირი და მნიშვნელოვანი ზეგავლენა წყლისა და სანაპიროს სხვა ბუნებრივ რესურსებზე. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, ზღვაში ჩამდინარე მდინარეების შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ სანაპირო ზონამ მოიცვას მდინარეების ხეობებიც — შესართავიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე მდინარის აღმა მიმართულებით. ამასთან, მიზანშეწონილია რომ, სანაპირო ზონის სახმელეთო გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრები, სანაპიროს გასწვრივ ემთხვეოდეს ზღვის ნაპირის მიმდებარე თემების შიდასახმელეთო საზღვრებს, სადაც იგი არ უნდა ვრცელდებოდეს სამ კილომეტრზე მეტ მანძილზე ნაპირის ხაზიდან;
- ე) სანაპიროს საზღვაო გეგმარებითი ტერიტორია ვრცელდება ნაპირის ხაზიდან ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრამდე, ანუ 12 საზღვაო მილის მანძილზე.

დანართი 2. სანაპირო ზონის საზღვრები

1. სანაპირო ზონას განეკუთვნება შემდეგი ტერიტორიები:
 - ა) „სანაპიროს საზღვაო გეგმარებითი ტერიტორია“, რომელიც ვრცელდება ნაპირის ხაზიდან ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრამდე და რომელიც მოიცავს პალიასტომის ტბას მთლიანად;
 - ბ) „ზღვის სანაპირო ზოლი“, რომელიც წარმოადგენს სანაპიროს საზღვაო გეგმარებითი ტერიტორიის ნაწილს და რომელიც მოიცავს პალიასტომის ტბას მთლიანად; ზღვის სანაპირო ზოლი ვრცელდება ნაპირის ხაზიდან არანაკლებ 25 მეტრისა და არაუმეტეს 500 მეტრის მანძილზე ზღვის მიმართულებით; ზღვის სანაპირო ზოლის ზუსტი საზღვრები უნდა დადგინდეს სანაპიროს ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებითა და აგრეთვე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად;
 - გ) „ხმელეთის სანაპირო ზოლი“, რომელიც წარმოადგენს სანაპიროს სახმელეთო გეგმარებითი ტერიტორიის ნაწილს და ვრცელდება ნაპირის ხაზიდან არანაკლებ 25 მეტრისა და არაუმეტეს 500 მეტრის მანძილზე ხმელეთის მიმართულებით; ხმელეთის სანაპირო ზოლის ზუსტი საზღვრები უნდა დადგინდეს სანაპიროს მიწის სავარგულებისა და წყლის ხარისხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებითა და აგრეთვე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად;
 - დ) „სანაპიროს სახმელეთო გეგმარებითი ტერიტორია“, რომელიც მოიცავს:
 - და.ა) თვითმართველი ერთეულების (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული ნაწილების (დასახლებათა გაერთიანებების — თემების), ხოლო ასეთების არარსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალიტეტების) იმ ფართობებს, რომლებიც მოქცეული არიან ნაპირის ხაზიდან ხმელეთის მიმართულებით არაუმეტეს სამი კილომეტრის მანძილზე გავლებული პერიმეტრის ფარგლებში;
 - და.ბ) ქალაქების (რომლებიც არ შედიან მუნიციპალიტეტების შემადგენლობაში) ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებს;
 - და.გ) სანაპიროს დაცულ ტერიტორიებს — კოლხეთის ეროვნულ პარკს, ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალს, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალსა და ქობულეთის ალკვეთილს (კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებში).
2. ზღვაში ჩამდინარე მდინარეების შემთხვევაში, სანაპიროს საზღვაო გეგმარებითი ტერიტორია, ზღვის სანაპირო ზოლი, ხმელეთის სანაპირო ზოლი და სანაპიროს სახმელეთო გეგმარებითი ტერიტორია აითვლება ნაპირის ხაზიდან, რომელიც დინების სანინალმდეგო მიმართულებით გრძელდება შესართავიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე, ხოლო მდინარე რიონის შემთხვევაში — შესართავიდან ათი კილომეტრის მანძილზე.
3. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სანაპირო ზონის, სანაპიროს საზღვაო გეგმარებითი ტერიტორიის, ზღვის სანაპირო ზოლის, ხმელეთის სანაპირო ზოლის და სანაპიროს სახმელეთო გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრების დატანა შესაბამის რუკებზე და ამ რუკების საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომობა.

დანართი 3. სანაპირო ზონის საილუსტრაციო რუკა



ბანკარტაპითი ბარათი

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე „საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის შესახებ“

განკარგულების პროექტის მიღების საფუძველი

განკარგულების პროექტის მიღების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ (მუხლი 5, ქვეპუნქტი „ჟ“).

განკარგულების პროექტის მიღების მიზანი

განკარგულების პროექტის მიზანია საქართველოს სანაპირო ზონის მდგრადი განვითარების, სანაპირო ზონის ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, ეკონომიკური განვითარების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ფორმირების უზრუნველყოფისა და შავი ზღვის გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა.

განკარგულების პროექტის ძირითადი არსი

განკარგულების პროექტი შედგება 3 პუნქტისაგან. პირველი პუნქტი ითვალისწინებს საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის მოწონებას.

განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განხორციელებისათვის აუცილებელი პროგრამული დოკუმენტის — სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამავე პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (სტრატეგიული მიზნების მიღწევის ზუსტ გზებთან, ეტაპებთან, ინდიკატორებთან და სხვა პროგრამულ ასპექტებთან ერთად) უნდა ასახავდეს ფინანსური რესურსებით სტრატეგიის განხორციელების უზრუნველყოფის საკითხებს. მე-2 პუნქტის მიხედვით სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას ერთობლივად უნდა წარუდგინონ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა განკარგულების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში.

განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტი შეეხება განკარგულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ საკითხს.

საკუთრივ საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია შედგება შვიდი თავისა და სამი დანართისაგან. სტრატეგია მომზადებული იქნა ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით 2007-2009 წლებში განხორციელებული რეგიონალური პროექტის („თანამშრომლობა შავი ზღვის გარემოს დაცვისათვის“) ფარგლებში. სტრატეგია შემუშავებული იქნა ამავე პროექტის ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის ერთობლივ კოორდინაციასაც ახდენდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება საქართველოში 1993 წელს იქნა დაწყებული — გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)

ეგიდით მოქმედ შავი ზღვის გარემოსდაცვითი რეგიონალური პროგრამის ფარგლებში (Black Sea Environmental Programme – BSEP). ამავე პროგრამის ფარგლებში, საქართველო 1995 წლიდან შეუდგა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროგრამის შემუშავებას. მოგვიანებით, რეგიონალური შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის (Black Sea Strategic Action Plan – BS-SAP, 1996) შესრულების მიზნით ქვეყანამ ვალდებულება აიღო შეემუშავებინა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 ოქტომბრის №608 ბრძანებულებით იქნა მიღებული. ყოველივე ზემოთ თქმულის გაგრძელებას წარმოადგენდა „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი“, რომლის განხორციელებაც 1999 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (Global Environment Facility – GEF) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სანაპიროს ინტეგრირებული მართვის სისტემის განვითარებისათვის საფუძვლების შექმნა და აგრეთვე რეგიონალური შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის (BS-SAP) მთელი რიგი ამოცანების შესრულება. აღნიშნული პროცესის ხელშეწყობა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 ოქტომბრის №608 ბრძანებულებით ჩამოყალიბებულ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სახელმწიფო საკონსულტაციო კომისიას დაევალა, რომელიც 2006 წლამდე განაგრძობდა ფუნქციონირებას. „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში მოქმედებდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ფუნქციონირება 2007 წელს განაახლა — ამჯერად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის („თანამშრომლობა შავი ზღვის გარემოს დაცვისათვის“) ეგიდით, რაც სტრატეგიის შემუშავების პროცესის კოორდინაციას ისახავდა მიზნად.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს შავი ზღვის სანაპიროს მდგრად განვითარებასა და კონსერვაციას სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესის დანერგვით, რომელიც გულისხმობს დანაწევრებული სამართლებრივი პასუხისმგებლობების კოორდინირებული მიდგომებით აღსრულებას სანაპიროს სტრატეგიული და რეგიონული დაგეგმვის განახლებული სისტემის ფარგლებში. სტრატეგია ემსახურება, აგრეთვე, საქართველოს სანაპიროს გარემოსა და რესურსების დაცვას და შენარჩუნებას სანაპიროსათვის შესაფერისი და უშუალოდ ზღვის ნაპირთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარების დაშვებით.

სტრატეგია ასახავს 1992 წელს ბუქარესტში ხელმოწერილი შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციითა და მისი პროტოკოლებით საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. იგი სრულ შესაბამისობაშია სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ევროპულ მიდგომებთან (ევროგაერთიანების კომისიის შეტყობინება (№2000/547) ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის პარლამენტის მიმართ „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ევროპული სტრატეგიის თაობაზე“).

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის ძირითადი დანიშნულებაა სანაპირო ზონისა და მისი რესურსების განვითარების, რაციონალური გამოყენების, დაცვისა და შენარჩუნების (კონსერვაციის) და მართვისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების ზოგადი სახით ფორმულირება. სტრატეგია შედგენილი უნდა იქნეს 5 წლიანი პერიოდისათვის და იგი განსაზღვრავს სანაპირო ზონაში განვითარების, ინვესტირებისა და მართვის საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის აუცილებელ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს. სანაპირო ზონის სახელმწიფო სტრატეგია წარმოადგენს სანაპიროს ზონის სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიის ფარგლებში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პოლიტიკის პრინციპების შემდგომი დამუშავებისა და

დეტალიზაციის საფუძველს.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის სტრუქტურა თანმიმდევრულად ასახავს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს:

თავი I (შესავალი). პირველ თავში დასაბუთებულია სტრატეგიის მიღების აუცილებლობა საქართველოს სანაპირო ზონის მდგრადი განვითარების ინტერესებისა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.

თავი II (სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესი). მეორე თავი იძლევა სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროცესის დახასიათებას და აგრეთვე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის საქართველოში არსებული პრაქტიკის მიმოხილვას.

თავი III (სანაპიროსთან დაკავშირებული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების შეფასება). მესამე თავში მოყვანილია სანაპიროს ბუნებრივი გარემოსა და სანაპიროს ფარგლებში არსებული საქმიანობის სახეების შეფასება.

თავი IV (პერსპექტიული ხედვა). მეოთხე თავში მოყვანილია გრძელვადიანი ხედვის (ძირითადი სტრატეგიული მიზნის) აღწერა.

თავი V (მიზნები და ამოცანები). მეხუთე თავი ადგენს სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს.

თავი VI (სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პრინციპები). თავში მოყვანილია ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები.

თავი VII (სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და სტრატეგიის პერიოდული განახლება). მეშვიდე თავში მოცემულია სტრატეგიის პერიოდული განახლების (გადასინჯვის) მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის შედეგებს.

დანართი 1 (სანაპირო ზონის იდენტიფიკაცია). დანართში მოყვანილია საქართველოს სანაპირო ზონის იდენტიფიკაციის კრიტერიუმები.

დანართი 2 (სანაპირო ზონის საზღვრები). დანართში აღწერილია საქართველოს სანაპირო ზონის საზღვრები.

დანართი 3 (სანაპირო ზონის სადემონსტრაციო რუკა). დანართი მოიცავს საქართველოს სანაპირო ზონის საილუსტრაციო რუკას.

განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

განკარგულების პროექტის ავტორი

განკარგულების პროექტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული რეგიონალური პროექტის „თანამშრომლობა შავი ზღვის გარემოს დაცვისათვის“ მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად.

განკარგულების პროექტის წარმდგენი

განკარგულების პროექტის წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

